სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

02 ოქტომბერი 2026

N 699/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათწყაროში შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს მიერ საცხოვრებელი კომპლექს „Lisi View“-ის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 10.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხათწყაროში, შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს საცხოვრებელი კომპლექსის „Lisi View“-ის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ამავე კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ: 72.16.06.701 ფართობი: 994 მ²; ს/კ: 72.16.06.676 ფართობი: 300 მ²) ნაწილზე დაგეგმილია, „Lisi View“-ის A კომპლექსთან პირველადი გამწმენდი ნაგებობის და A და B კომპლექსებისთვის საერთო, ძირითადი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში „Lisi View“-ის A კომპლექსის ჩამდინარე წყლებისთვის პირველადი გამწმენდი ნაგებობა, ამავე კომპლექსის სიახლოვეს, შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 72.16.06.701) ნაწილზე, 44 მ² ფართობზე, ხოლო ორივე კომპლექსის ჯამური ჩამდინარე წყლების მისაღებად, ძირითადი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, ამავე კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 72.16.06.676) ნაწილზე, 150 მ² ფართობზე მოეწყობა. „Lisi View“-ის A და B კომპლექსები გათვლილია 400 მაცხოვრებელზე, ხოლო საცხოვრებელი კომპლექსის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მაქსიმალური საანგარიშო ხარჯი 92 მ³/დღე-ღამეს შეადგენს. საპროექტო პირველადი გამწმენდი ნაგებობის წარმადობა იქნება 45 მ³/დღე-ღამე, ხოლო ძირითადი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მაქსიმალური წარმადობა – 95 მ³/დღე-ღამე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობების ძირითადი ტექნოლოგიური მოცულობები მოეწყობა რკინაბეტონის რგოლებისგან. რგოლის შიდა დიამეტრი იქნება 2 მეტრი, ხოლო სიმაღლე 1 მეტრი. ოთხი რგოლის გაერთიანებით მიიღება ერთი, დაახლოებით 4.15 მეტრი სიმაღლის მოდული. რგოლების შეერთების ადგილები შეივსება ქვიშა-ცემენტის ნარევით და დამუშავდება შეღწევადი ჰიდროიზოლაციით. A კომპლექსის პირველადი გამწმენდი ნაგებობა შედგება ორი თანმიმდევრულად დაკავშირებული სალექარი მოდულისგან, თითოეული მოდულის ჯამური სამუშაო მოცულობა 23 მ³-ს შეადგენს, ხოლო ძირითადი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა შედგება 12 ტექნოლოგიური მოდულისგან, საიდანაც სამი მოდული განკუთვნილია პირველადი დალექვისთვის,

რომლის ჯამური სამუშაო მოცულობა 34.5 მ³-ია, ოთხი მოდული - აერაციისთვის, ორი მოდული - მეორადი დალექვისთვის, ორი - ბიოფილტრაციისთვის, ხოლო ერთი მოდული – ოზონით დამუშავებისა და საკონტაქტო პროცესისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, A კომპლექსის საპროექტო პირველადი გამწმენდი ნაგებობის სალექარ მოდულებში ხდება შეტივნარებული და შედარებით მძიმე ნაწილაკების დალექვა და ორგანული ნივთიერებების ნაწილობრივი ანაერობული დაშლა, რის შემდეგაც წინასწარ დამუშავებული წყალი თვითდინებით გაივლის 161 მეტრი სიგრძის და 150 მმ დიამეტრის მიმყვან კოლექტორს. B კომპლექსში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყალი 97 მეტრი სიგრძის ცალკე საკანალიზაციო მილსადენით თვითდინებით მიეწოდება A კომპლექსის პირველადი გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი მიმყვანი კოლექტორის შეერთების წერტილს (A და B კომპლექსებიდან გამომავალი მილსადენების შეერთების წერტილის GPS კოორდინატები: X-473678.9 Y-4621945.2). მილსადენების შეერთების წერტილიდან A და B კომპლექსების გაერთიანებული ჩამდინარე წყალი 42 მეტრი სიგრძის საერთო კოლექტორით მიეწოდება ძირითადი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის პირველ სალექარს (ძირითადი გამწმენდის შესასვლელის GPS კოორდინატები: X-473672.7 Y-4621908.9) და გაივლის პირველ, მეორე და მესამე მოდულებს, სადაც ხდება მყარი ნაწილაკების დალექვა და ანაერობული გარდაქმნა. შემდგომ ეტაპზე, ჩამდინარე წყლები გადაინაცვლებს ოთხ მოდულიან აერატორში, სადაც წყალს მიეწოდება წვრილბუშტუკოვანი ჰაერი. ჩამდინარე წყლები აერატორიდან გადაინაცვლებს ორ მოდულიან მეორად სალექარში, სადაც ხდება ლამის წყლისგან განცალკევება და ფსკერზე დალექვა. მიკროორგანიზმების საჭირო კონცენტრაციის შესანარჩუნებლად, აქტიური ლამის ნაწილი აერატორში ბრუნდება, ფსკერზე დაგროვილი ჭარბი ლამი კი პირველად სალექარსა და ლამის საშრობში ნაწილდება. განცალკევებული წყალი ორ მოდულიანი სალექარიდან გადაინაცვლებს ორ მოდულიან ბიოფილტრში, სადაც ხდება დარჩენილი ორგანული ნივთიერებების დამატებით გარდაქმნა, ხოლო ბიოფილტრიდან გამოსული წყალი გაივლის ორსაფეხურიან დეზინფექციას ოზონირებითა და ჰიპოქლორიტით, ასევე წყალი დამატებით დამუშავდება კალციუმის ან ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარით. აღნიშნული 10-50 გ/ლ კონცენტრაციის სამუშაო ხსნარი განთავსდება ცალკე ავზში და ტუმბო-დოზატორით შეიფრქვევა გამყვან მილსადენში. სატუმბი კვანძი დაკომპლექტდება ძირითადი და სათადარიგო ტუმბოთი (თითოეული 15 მ³/სთ წარმადობის), დაწნევა კი 50 მეტრის წყლის სვეტით. ტუმბოების ჩართვა და გამორთვა განხორციელდება ავტომატურად, წყლის დონის მიხედვით. საბოლოო დეზინფექციის ეტაპის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: ჟბმ – 5 მგ/ლ; ჟქმ – 25 მგ/ლ; საერთო აზოტი – 10 მგ/ლ; საერთო ფოსფორი – 1.5 მგ/ლ; შეტივნარებული ნაწილაკები – 10 მგ/ლ; ზედაპირული აქტიური ნივთიერებები – 0.01 მგ/ლ. გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლები დაახლოებით 134.7 მეტრი სიგრძის და 150 მმ დიამეტრის მიწისქვეშა მილით ჩაშვებული იქნება საპროექტო გამწმენდი ნაგებობის სამხრეთით მდებარე ბუნებრივ სეზონურ ხევში, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-473639 Y-4621778.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობებისა და მილსადენების მოწყობა ითვალისწინებს მცირე მოცულობის მიწის სამუშაოებს, მათ შორის სამშენებლო მოედნების მომზადებას, მილსადენებისთვის თხრილების მოწყობასა და სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის აღდგენას. მიწის სამუშაოების შედეგად ტრანშეებიდან ამოღებული გრუნტი უკუყრილისთვის და ტერიტორიის მოსწორებისთვის იქნება გამოყენებული, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ დარჩენილი ჭარბი გრუნტი, (დაახლოებით 200 მ³) მცხეთის მუნიციპალიტეტთან და შესაბამის მიმღებ ობიექტთან წინასწარი შეთანხმებით, გატანილი იქნება კანონმდებლობით დაშვებულ განთავსების ადგილზე. სამშენებლო სამუშაოები იქნება მოკლევადიანი, ხოლო ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელება, ხმაური, მიწის სამუშაოები და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა ძირითადად ლოკალური და დროებითი ხასიათის იქნება, რომელიც შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, ერთცვლიანი, 8-საათიანი სამუშაო რეჟიმით და დაახლოებით 3 თვის განმავლობაში გაგრძელდება, რაც სამუშაოების სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო გამწმენდი დანადგარების სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება გამწმენდი ნაგებობების ქვაბულების,

ასევე მილსადენების ტრანშეების მოწყობასთან, ამოღებული გრუნტის დროებით დასაწყობებასა და უკუჩაყრასთან, აგრეთვე ექსკავატორის და თვითმცლელის მუშაობასთან. ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები დაახლოებით 3 თვის განმავლობაში გაგრძელდება, ხოლო მიწის სამუშაოები ამ მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებში შესრულდება, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება დროებითი, პერიოდული და ლოკალური. ექსპლუატაციის ეტაპზე გამწმენდი ნაგებობის ძირითადი ტექნოლოგიური მოცულობები განთავსებული იქნება მიწისქვეშ და დახურული იქნება რკინაბეტონის კონსტრუქციებით და ჰერმეტული ხუფებით (ლუკებით), რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს სუნის გარემოში გავრცელებას. ამასთან, ტექნოლოგიური პროცესით გათვალისწინებულია გაწმენდილი წყლის ოზონითა და ჰიპოქლორიტით დამუშავება. გამწმენდის პროცესის საპროექტო რეჟიმში წარმართვის, ლუკების დახურულ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და ნაგებობის დროული ტექნიკური მომსახურების პირობებში, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება, მათ შორის, არასასიამოვნო სუნის წარმომქმნელი ნივთიერებებით ჰაერის ხარისხის გაუარესება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ერთი ერთეული ექსკავატორი და ერთი თვითმცლელი. შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით ზემოქმედება იქნება ლოკალური, დროებითი, მოკლევადიანი და შექცევადი. სამუშაოები განხორციელებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მხოლოდ დღის საათებში, 8-საათიანი სამუშაო რეჟიმით მუშაობას დაახლოებით 3 თვე, ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურისა და ვიბრაციის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობა. ვინაიდან, გამწმენდი ნაგებობის ძირითადი ტექნოლოგიური მოცულობები განთავსებული იქნება მიწისქვეშ, რკინაბეტონის კონსტრუქციები მნიშვნელოვნად შეზღუდავს ხმაურისა და ვიბრაციის გარემოში გავრცელებას. მოწყობილობების გამართულ მდგომარეობაში ექსპლუატაციისა და პერიოდული ტექნიკური მომსახურების პირობებში, მოსალოდნელი ხმაური და ვიბრაცია იქნება დაბალი, ლოკალური და პრაქტიკულად შეუმჩნეველი. შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე ახლომდებარე საცხოვრებელ გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო გამწმენდი დანადგარების მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც სეპარირებულად შეგროვდება და დროებით განთავსდება მათთვის განკუთვნილ კონტეინერებში ან წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე. სამშენებლო ნარჩენების გატანა და შემდგომი მართვა განხორციელდება მათი სახეობისა და მახასიათებლების შესაბამისად, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენები გადაეცემა მუნიციპალურ სამსახურს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწვავის ან საპოხი მასალის ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაბინძურებული მასალა და გრუნტი შეგროვდება ცალკე და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე პირს. ექსპლუატაციის ეტაპზე, ძირითადი ნარჩენი იქნება დაგროვებული ლამი, რომელიც შემდგომი მართვისთვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი ნებართვის მქონე პირს გადაეცემა. ამასთან, ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია მცირე რაოდენობით ჰიპოქლორიტის ცარიელი ტარას წარმოქმნა, რომელიც სხვა ნარჩენებისგან განცალკევებით შეგროვდება და მისი მართვა განხორციელდება შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, ხოლო მილსადენების ტრასა ძირითადად მიუყვება საცხოვრებელი კომპლექსების არსებულ შიდა გზებს. აღსანიშნავია რომ, საპროექტო დერეფნის ფარგლებში გამყვანი კოლექტორის ნაწილი კვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, სადაც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები და 8 სმ ან მეტი სატაქსაციო დიამეტრის მქონე ხე მცენარეები წარმოდგენილი არ არის. ამასთან, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკრინინგის განცხადება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს გადაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, დანართით წარმოდგენილი 6 298 მ^2 ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების

დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 169 მ^2 მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. კერძოდ, მცხეთის სატყეო უბნის თბილისის ლისის სატყეოს, კვარტალი №10-ის ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში. აქვე გაცნობებთ, რომ შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს მომართვის საფუძველზე სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში 169 მ^2 ფართობზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათწყაროში შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს მიერ საცხოვრებელი კომპლექს „Lisi View“-ის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს გზშ-ს.**

2. შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“ ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში, გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/699-21-4-202610021417


QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE